ბრძანება N 2823

05/02/2015

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების სსიპ „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესია“-ზე გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს სსიპ „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესია“-ს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები, დანართი №1-ის შესაბამისად, საბალანსო ღირებულებით - 90273.48 (ოთხმოცდაათიათას ორასსამოცდაცამეტი ლარი და 48 თეთრი), ნარჩენი საბალანსო ღირებულებით - 18606.09 (თვრამეტიათასექვსასექვსი ლარი და 09 თეთრი) და მცირეფასიანი საშუალებები, დანართი №2-ის შესაბამისად, საბალანსო ღირებულებით - 10949.35 (ათიათასცხრაასორმოცდაცხრა ლარი და 35 თეთრი).
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს სსიპ „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია“-ზე , ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული, ქონების გადაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსი - თორნიკე ხელთუფლიშვილი.
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.
5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2015 წლის 30 იანვრის №10986-02 წერილი, სსიპ „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის“ (საქართველოს საპატრიარქოს) 2014/1/08 N28 და სახემწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015/09/1 N5/989 წერილები.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური